№ 206

1877—1900

პარასკევი, 22 სექტემბერი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთი ფასი:**

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 206

პარასკევი, 22 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—26) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის დიდმის სარდაფებში

## გასასყიდია 7,000 ვედრო

**საუკეთესო ღვინოებისა.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოურავს ი. ა. გუნცაძეს სოფ. დიღომ ი. (5—184—3)

## სასწავლებელი და პანსიონი
## ა. ტერ-აკოფოვისა

შესდგება ორის მოსამზადებელ კლასისა (უფროსისა და უმცროსისაგან) და სამის გიმნაზიურ კლასისაგან, რომელნიც პროგრამით მთავრობის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების იმავე კლასების პროგრამებს უდრის. ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, კადეტის კორპუსებსა და სხვა სასწავლებელში. ასწავლიან აგრეთვე მუსიკასა და ცეკვას. ქართველ ბავშვებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ქართულ ენისა და სალმრთო წერილების სწავლებას. ქართულს ენას ასწავლის განსაკუთრებული მასწავლებელი, ხოლო საღმრთო წერილს, როგორც წინად, მღვდელი ანტონ თოთიბაძე. ადრესი: ტფილისი, სოლოლაკი, ჭანოვის ქუჩა, № 11 (ვაჟთა მესამე გიმნაზიის მახლობლად). (3—191—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## კ ა ნ ტ ო რ ა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—14)

# ახალი ამბავი

*** როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის უნივერსიტეტებში იურიდიულს ფაკულტეტზედ ამ ბოლოს დროს სანახევარკურსო გამოცდა შემოიღეს VI სემესტრიდგან მე VII-ზედ გადასვლის დროს და ამ რიგად სახელმწიფო კომისიებში გამოცდის პროგრამას რამდენიმე საგანი მოაკლდა. ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროს კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ასეთივე სანახევარკურსო გამოცდა იქმნეს შემოღებული სხვა ფაკულტეტებზედაც VI-გან VII სემესტრზედ გადასვლის დროს და უნივერსიტეტებისათვის წინადადება მიუცია, რომ ამ საგნის შესახებ თავისი აზრი წარადგინონ. აღნიშნულს წინადადებას თანაგრძნობით შეჰგებებია პეტერბურგის უნივერსიტეტის საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტი.

*** ოთხშაბათს, 20 სექტემბერს, ქალაქის გ მგეობამ განიხილა ქალაქის მოურავის განცხადება ქალაქის წყლის მილების საქმეთა მმართველ განსაკუთრებულ განყოფილების დაწესების გამო და ვრცელი მოხსენება კომისიისავე ამ საქმის შესახებ და დაადგინა: ქალაქისა და ავჭალის წყლის მილების საქმეთა მართვა-გამგეობა როგორც ტეხნიკურისა, აგრეთვე სხვა მხრივაც, დაევალოს გამგეობის მე-3 საამშენებლო განყოფილებას; ამასთანავე დაევალოს ქალაქის ინჟინერს დაწვრილებით განიხილოს საკითხი წყლის მილის ტეხნიკურის ნაწილისა. ქალაქის წყლის მილის განყოფილება მოქმედებას დაიწყებს ნოემბრის პირველ რიცხვიდგან, ხოლო ახალ შტატების შესანახად გადადებული ფული უნდა შეიტანონ გამგეობის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. გამგეობის ამ დღესვე დადგენილებით გაუქმებულ იქმნა წყლის მილის უფროს კანტროლიორის თანაშემწის ადგილი, რომლის თანამდებობის აღსრულება დაეკისრა უფროს კანტროლიორს ბ ნ პარუნ-სარქისოვს.

*** უწმიდესმა სინოდმა განმარტა, რომ, როდესაც ეკკლესიის მნათის

# ფელეტონი

## ციური ცვარი

(ფანტაზია ქ-ნ ლ. ვ. ბლაგონოვსკისა)

(დასასრული *)

### II

როდესაც მზე ჩავიდა, დედამიწაზედ სიბნელესთან ერთად სიგრილე გამეფდა; ჩამობნელებულს ცაზედ უეცრად აენთნენ გასაოცარი, საარაკო ვარსკვლავები; შორს, სადღაც ბულბულმა ჩანგის სიმებს შეახო ნისკარტი და თავისი საგაზაფხულო ტკბილი ჰანგი შემოსძახა. თბილი, ჩუმი, ტკბილ სუნნელებით სავსე ღამე იყო; ამ დროს დამჭკნარი ყვავილები თითქმის აღარც-კი სჩანდნენ ქვიშიან საფლავზედ. მათ იქ ყოფნას ხანდახან თუ გამოამჟღავნებდა ნათელი ცვარი, რომელსაც მოულოდნელად დაეცემოდა ხოლმე ცისფერი სხივი ამომავალის მთვარისა. მომაკვდავი ყვავილები მშვიდად ეყარნენ; დასუსტებულნი მორჩილებით ელოდნენ სიკვდილს; დროგამოშვებით შეჰხედავდნენ საარაკო ვარსკვლავებს და ნაღვლიანად იგონებდნენ იმ დროს, როდესაც ისინი ესაყვარლებოდნენ ამ ვარსკვლავებს, სცხოვრებდნენ და სტკბებოდნენ ღამის სიგრილით ხშირს მწვანე ბალახში. ჩვენმა იამ კარგა ხანია უკვე დაჰხარა მიწაზედ თავისი დამჭკნარი თავი, რადგანაც აღარ შეეძლო მაღლა აეხედნა და დაენახა საყვარელი ვარსკვლავები. მისს მკერდში ჯერ კიდევ ბჭყვრიალებდა საკვირველი ცვარი და ხანდახან ლამაზ მარგალიტსავით აენთებოდა ხოლმე. ია კვდებოდა. მას კვლავ მწვავი წყურვილი აწუხებდა, წყურვილი, რომელიც მისმა ცვარმა ვერ მოუკლა: ეს ცვარი მარილიანი და მწარე იყო; მაგრამ იმისთვის რომ დაებრუნებინათ წინანდელი ბედნიერი და უზრუნავი სიცოცხლე, მიეცათ ნება კიდევ დამტკბარიყო მზით, ჰაერითა და გაზაფხულით და ეთქვათ: „ეგ ცვარი დასთმეო“, იგი მაინც უარს ეტყოდა და არ დასთანხმდებოდა ამ ფასით თვისის სიცოცხლის ყიდვას... არა... იგი კვდებოდა მშვიდად, უდრტვინველად; მადლობას უგზავნიდა ცას იმ საოცარის საჩუქრისთვის, რომელსაც თავისს მისუსტებულს გულ-მკერდში ძალზედ იკრავდა...

—

დედამიწაზედ უკვე სრული ღამე ჰსუფევდა. გაახლებულ-გაცოცხლებული ხეების ფოთლები ღამის ნიავისაგან საამოდ შრიალებდნენ. ჯვრები და სვეტები საოცრად გამოიყურებოდნენ მწვანე ბალახში და საიდუმლო ღამის წყვდიადში გახვეულ საიდუმლო აჩრდილთ მიემსგავსებოდნენ.

მომაკვდავმა იებმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფეს და ერთხელ კიდევ მიაპყრეს მხედველობა შორეულ, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, რომელიც ისე უყვარდათ... იქ სიბნელეა, მარტო, მარტო მთვარის დისკო საოცრადა ჰბრწყინავს და თავისს გარშემო მცირე ადგილს ანათებს... ღამის მეფასთან ვარსკვლავთა სინათლე მეტად სუსტია... რა კარგია იქ მაღლა ცაში! რა მშვიდად და გულ-გრილად იცქირებიან ეს ვარსკვლავები!.. რა თქმა უნდა, მათ არაფერი ჯავრი არა აქვთ საბრალო ყვავილებისა, რომლებიც უფრო და უფრო სუსტდებიან და ნაღვლიანად შესცქერიან იმათ, ბედნიერთ, მშვენიერთ...

მთვარის გარშემო განათებულ სივრცეს-კი თანდათან ემატება... აი უკვე ნახევარი ცა დაიჭირა... მაგრამ ეს მარტო საბრალო ყვავილებს ეჩვენებათ. ეს მთვარის შუქი არ არის, რაღაც უფრო ნათელი, უფრო ლამაზი უახლოვდება იმათ. ვერცხლეპრ თეთრი ტან-საცმელი, სუბუქი ხუჭუჭი თმა ამშვენებს საოცარს სახეს, რომელიც ასე ჰბრწყინავს. ჩვენმა იამ აიხედა და, დაინახა რა ეს მოჩვენება, პირველად ის ქალწული ეგონა, რომელმაც ისინი მიატოვა აქ, მაგრამ არა! თოვლივით თეთრი ტანისამოსი გამსჭვირვალი და სუბუქი, თითქოს ჰაერისაგან და ვერცხლისფერ სხივებისგან არის მოქსოვილიო. არა, სახე უფრო ლამაზია და ნათელი, თვალები-კი ვარსკვლავებზედ ძლიერ ელვარებენ... არა, განა ვერ შენიშნე სპეტაკი, სიზმარსავით სუბუქი ფრთები, რომლებშიაც მთვარის მტრედის ფერი სხივები გამოსჭვივიან? შეხედე: საოცარ მოჩვენების ფეხები დედამიწას არ ეკარება; მის ხელში ოქროს თასია. იგი ანგელოზია ღვთისა, შემოქმედის ბრძანებით აქ მოფრენილი.

მშვიდად, ნაღვლიანის ღიმილით დაჰხარა თავი ანგელოზმა ღარიბ, უბრალო ჯვრით შემკულ საფლავისკენ და თავისი ყურადღება საბრალო ყვავილებს მიაქცია... ასწია თასი და საოცარმა ელვარებამ მოიცვა იქაურობა; ამ ელვარებისაგან უეცრად ბზინვა დაიწყო ყველა ყვავილებზედ მყოფმა ცვარებმა; ისინი არაოდეს არ ყოფილან ასეთი მბრწყინვალენი და არც მათგან მორთულნი ყვავილნი ყოფილან ასეთნი ლამაზნი. ანგელოზმა მათკენ თასით ხელი გაიწოდა, თითქოს ჰლოცავსო, და და-

*) იხ. „ივერია“ № 205.

არჩევნის დროს წარდგენილს კანდიდატს ერთხმადა და კენჭის უყრელად ვერ ირჩევენ, შეიძლება, ამ შემთხვევაში ხმის შეკრებითა და კენჭის ყრით იქმნეს მნათედ არჩეულნიო.

** განზრახვა აქვთ მოსკოვში სრულიად რუსეთის საკლავ საქონლის გამოფენა გამართონ. გამოფენაზედ სხვილ საკლავ საქონელს 1,200-მდე მიიღებენო.

** პარასკევს, 29 სექტემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება; საზოგადოების საბჭო მოახსენებს კრებას, თუ მომავალის წლის კავკასიის სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის საიუბილეო გამოფენის საქმე რა მდგომარეობაშია ამ ჟამად.

** საადგილ-მამულო გარდასახადთა გამწერ დუშეთის სამაზრო საკრებულოში მაზრის თავად-აზნაურთა წარმომადგენელად დანიშნულის პოლკოვნიკის ნიკოლოოზ რატიევის ნაცვლად, რომელიც ამ ჟამად ავად იმყოფება, დანიშნულია წარმომადგენელად აზნ. ილარიონ კობიაშვილი.

** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოსათვის უცნობებია შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ნება-დართულია თელავის მაზრის სოფ. ველისციხეში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება იქმნეს დაარსებულიო.

** ბაქოსა და მოსკოვს შუა მგზავრთა რკინის გზით პირდაპირი მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან დაიწყება.

** კავკასიის რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება კვირას, 24 სექტემბერს, არისო დანიშნული, სწერს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ე. კრებას წარუდგენენ 1899 წლის ანგარიშს. საზოგადოებას ამ წელს წმინდა მოგება 7.465 მან. და 39 კ. ჰქონია. საანგარიშო (1899) წელს „საზოგადოებას 553,145 მან. უვაჭრნია. წლის დამლევს ჰყოლია სულ 2,644 წევრი. საზოგადოებას ამ ჟამად თავისი საკუთარი პურის საცხობი აქვს, რომელიც ტფილისის სამს მაღაზიასა და სამგზავრო სამს დუქანს უცხობს საკმაო პურსაო.

** როგორც შეუტყვია იმავე გაზეთს, კახეთის საუფლისწულო მამულს განუზრახავს იშუამდგომლოს, რომ საუფლისწულო ვენახში კახეთში 60 სადგური გაიმართოს სეტყვის წინააღმდეგ გამოგონილ „მორტირების“ (ყუმბარების მსროლელი მანქანაა) დასადგმელად. თითოეულს სადგურს 2-დგან 3 ათასამდე მან. დასჭირდებაო.

## მისის ბრწყინვალების კავკასიის მთავარ-მმართებლის გენერალ-ადიუტანტის თავად გ. ს. გოლიცინის ქ. ფოთში მობრძანება.

კავკასიის მთავარ-მართებელი 11 სექტემბერს მობრძანდა ფოთში. მისმა ბრწყინვალებამ რუსეთის საზოგადოების „დიდის მთავრის კონსტანტინეს“ გემით ინება ფოთის ნავთ-სადგურში შემოსვლა და ქალაქის დათვალიერება. ნავთ-სადგურში პირველ საათზედ, როდესაც გემი უნდა შემოსულიყო, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დანიშნულს დროს გემიც მოადგა შუა ხანდაკს (МОЛЪ), სადაც მთავარ-მართებელს ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი მიეგებნენ პურ მარილით. შემოვიდა თუ არა გემი ნავთ-სადგურის კარებში, „პალუბაზედ“ ჯერ გამოჩნდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი და შემდეგ მისი ბრწყინვალება თავ. გ. ს. გოლიცინი. სტუმრებს შორიდგანვე ეტყობოდათ, რომ ნავთ-სადგურის მორთულობას უფრო უკვირდებოდნენ, ვიდრე გემის შემოსვლას. როცა გემი დანიშნულ ალაგას დადგა, პირველად იქიდგან მომავალი მგზავრები გადმოსხეს და შემდეგ ქალაქის პოლიცმეისტერი თავ. ვ. ს. აბაშიძე ავიდა გემზედ და ამას მიჰყვნენ ქალაქის თვით-მმართველობისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ქალაქის მოურავის მოადგილემ ი. გ. ჯალალოვმა და გამგეობის წევრმა ლ. მ. ყრუაშვილმა პურ-მარილი მიართვეს. პურ მარილის მიღების დროს, სხვათა შორის, მისმა ბრწინვალებამ ბრძანა: „მე ფოთში 1872 წელში ვყოფილვარ. მას შემდეგ ეტყობა პორტი შესამჩნევად გადასხვაფერებულაო და ვნახოთ, ქალაქიც თუ ასე გამოცვლილაო“. ამაზედ ბ-ნმა ჯალალოვმა მოახსენა: „თქვენო ბრწყინვალებავ, დღეს ქალაქსაც სხვა ელფერი სდევს, მას შემდეგ ქალაქი შესამჩნევად გაშენდა და ეხლაც თანდათან იზრდებაო“. $1^3/_4$ საათზედ მისმა ბრწყინვალებამ გემიდგან გადმოსვლა და ახალ ნავთ-სადგურის დათვალიერება ინება. ამ დროს იქვე ინახულა ის ადგილი, რომლის შესახებაც რკინის ვზასა და ქალაქს შუა იყო ატეხილი დავა. საჩივრით ამ ადგილის მოგებისა და მისს ბრწყინვალების ამ საქმეში დახმარებისათვის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ლ. ყრუაშვილმა მთავარ-მართებელს ქალაქის მხრივ მადლობა შესწირა, რომლისგანაც შემდეგი პასუხი მიიღო: „მე მუდამ სიმართლეს მომხრე ვარო“. ფეხით დაათვალიერა მისმა ბრწყინვალებამ ყველა ის ადგილები, სადაც ეხლა გახურებული მუშაობაა. როცა ახალს ნავთ-სადგურს შემოუარა, გაბრძანდა ჩრდილოეთის ხანდაკზედ ბ შავ-ქვაზედ მომუშავე მუშები და გემებისათვის დასაცლელ დასატვირთავად მისადგომი ადგილები ინახულა. აქედგან ისევ უკან ფეხით დაბრუნება ფილიუგით მოკლე გზით გაცურვა და ნავთსადგურის დათვალიერება არჩია მისმა ბრწყინვალებამ, საიდგანაც შემდეგ ახალ ნავთ-სადგურის თავში საბაჟო ნავების მისაყენებელ ადგილას აბრძანდა. სრული $2^1/_2$ საათი მოანდომა მისმა ბრწყინვალებამ ნავთ-სადგურისა და მის მიდამოების დათვალიერებას და დიდად კმაყოფილი დარჩა ნავთ-სადგურის ასე ხელოვნურად მოწყობისათვის; ამის ნიშნადმადლობა გამოუცხადაქალაქის წარმომადგენელთ და უთხრა: ვეცდები და ქალაქს ყოველსავე დახმარებას აღმოვუჩენ, რომ ასეთ ლამაზად დაწყებულს გეგმაზედ ნავთ-სადგურის მუშაობის საქმე არ შეფერხდესო“. როგორც ადრევე გამოსთქვა სურვილი მისმა ბრწყინვალებამ, რომ ქალაქი სულ უნდა დავათვალიეროთო, მართლაც ისე მოიქცა. ასე წარმოიდგინეთ, მისს ბრწყინვალებას წყლისა და ჭაობების ამოსაშრობი არხებიც-კი არ დაუტოვებია დაუთვალიერებელი კუნძულზედ, არამცთუ სასწავლებლები და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. ქალაქში ინახულა სატუსაღო. ხუთი საათი იყო, როცა ქალების სკოლაში შესდგა ფეხი მთავარ-მართებელმა. მთავარ-მართებელმა მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა მისცა, კმაყოფილი დარჩა მათის პასუხით და 25 მანეთი კამფეტებისათვის დაუტოვა. აქედგან ვაჟების სასწავლებელში წაბრძანდა. იქ სასწავლებლის ეზოში იშვიათ სტუმრებს მუსიკით მიეგებნენ მოსწავლენი. ჩამოუარა მისმა ბრწყინვალებამ დარაზმულს მოწაფეებსა და გამოკითხვა დაუწყო. ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილს ყმაწვილებს ქართულად: „გამარჯობათ“, მისცა სალამი. ყველგან შესაფერისად დაუხვდნენ. გაათავა თუ არა შეგირდების გამოკითხვა, მისმა ბრწყინვალებამ კეთილ ინება და სასწავლებლის ინსპექტორს 50 მან. გადასცა შეგირდებისათვის საუზმის გასამართავად. შემდეგ დაათვალიერა სასწავლებლის სახელოსნო, სადაც მისს ბრწყინვალებას საჩუქრად ხის თეფში და ორი ხის შანდალი მიართვეს. აქვე ინახულა სასწავლებლისავე ბაღი, სადაც მისს ბრწყინვალებას საჩუქრად ყვავილების კალათა მიართვეს; შემდეგ ყმაწვილებმა ერთ ხმით მშვიდობით მგზავრობა უსურვეს მისს ბრწყინვალებას და მუსიკამაც „მარში“ დაუკრა. მთავარ-მართებელი, კმაყოფილი ყველა ამ სანახავებით, ღიმილით გამოეთხოვა როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს. $6^1/_4$ საათზედ მთავარ-მართებელი და გუბერნატორი რკინის გზის სადგურზედ წაბრძანდნენ და მატარებლის ვაგონში ისადილეს. $9^3/_4$ საათ მდის დაჰყო მისმა ბრწყინვალებამ რკინის გზის სადგურზედ ვაგონში, საიდგანაც შემდეგ სახალხო მატარებლით გუბერნატორთან ერთად ტფილისისაკენ გაემართა. უკანასკნელად მატარებლის წასვლის დროს სადგურზედ მისი ბრწყინვალება გამოეთხოვა ქალაქის წარმომადგენელთ და, სხვათა შორის, მადლობა უთხრა პოლიცმეისტერს თავად ვ. ს. აბაშიძეს და გამგეობის წევრს ბ. ლ. მ. ყრუაშვილს, რომელმაც წასვლისას მისს ბრწყინვალებას მშვენიერი თაიგული მიართვა.

ი. კოხრეიძე

## თეატრის მატიანე

ქ. ქუთაისი, 17 სექტემბერი. კვირას, 17 სექტემბერს, დაიწყო ქართულის წარმოდგენების სეზონი ქუთაისში. დღემდის საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი ქუთაისს თავს ანებებს და ბათუმში აპირებს მთელს ზამთარში წარმოდგენების მართვასაო. ამ გარმოების მიზეზი კარგად არ ვიცით, მაგრამ ამას-კი ვიტყვით, რომ აქაურ საზოგადოებას საყვედური არ ეთქმის ბ-ნ მესხიშვილისაგან და ვერაფერ სამსახურს გაუწევდა იგი ვერც ქართულს სცენას და ვერც ქუთაისის საზოგადოებას, რომ თავისი აზრი შეესრულებინა. ამ რიგად სეზონი დაიწყო და თუ დასი შრომას არ დაიზარებს, ბოლომდისაც გასტანს. ხალხი თან-და-თან ეჩვევა წარმოდგენებს და შემოსავალი ყოველ-წლივ მატულობს. სეზონი დ. ერისთავის „სამშობლო“-თი დაიწყო. ამ პიესამ დიდი ხანია თავისი ელფერი დაჰკარგა და საკმაოდ მოაბეზრა თავი რჩეულს საზოგადოებას, მაგრამ ჩვენს კურხეულ ქუთაისში ყოველთვის ამ პიესით ეწყებენ ხოლმე სეზონს; რასაკვირველია, უფრო იმ მოსაზრებით, რომ ანტრეპრიზამ წელი გაიმართოს რიგიანი შემოსავლით. მართლაც ასე მოხდა: ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ სამი მეოთხედი ისეთი უცხო და ჭრელი ხალხი იყო, რომელსაც თეატრში ორჯელ არ ჰნახავ მთელი სეზონის განმავლობაში. ნამდვილი „თეატრალები“ კი არსადა სჩანდნენ, თუმცა არა დაუკარგნიათ-რა ამით. ძველი შთაბეჭდილება მაინც შერჩებათ და ახალის ნახვით გულ ნატკენი გავიდოდნენ თეატრიდგან. თავდაპირველად სვიმონ ლიონიძის როლი შექმნა კ. ყიფიანმა და ლევან ხიმშიაშვილის ვ. ალექსი-მესხი-

---

იწყო ლაპარაკი ისეთ ნაირის ხმით, რომ მისი შედარება არა გვარ მუსიკასთან არ შეიძლება: „საყვარელნო ყვავილნო! —ამბობდა ანგელოზი და მისს ხმაში ნაზი თანაგრძნობა იხატებოდა: საბრალო ტანჯულნო! თქვენ უკვე თავს დაგტრიალებთ ყველაფრის მომსპობელი სიკვდილი; მოკლებულნი ხართ ცხოვრებას, მზეს და სიხარულს, მაგრამ ნუ ჰგმინავთ. იცოდეთ, რომ თქვენი სიკვდილი ისეთივე დიდებული იქმნება, როგორც არც ერთი სხვა ყვავილისა, ვინაიდგან თქვენ ხართ მოწოდებული დიადის საქმისთვის თვით უფლისაგან, თქვენის შემოქმედისა. მან გამომგზავნა მე, რათა ამ თასში შევაგროვო ცვარები, რომლებიც ეხლა თქვენზედ ელვარებენ, და მივართვა. აგიხსნით, რა ცვარებია ესენი და ან რა დიდი მნიშვნელობა აქვთ. ეს ადგილი, სადაც ეხლა თქვენა ხართ, ეს უბრალო ქვიშიანი ამაღლებული საფლავია. შიგა მარხია ყრმა—თავისმკვლელი.

ბუნებით ოცნებისა და სიჩუმის მოყვარე, გულით მშვიდი და წმიდა, იგი თითქოს ამ სოფლისათვის არ იყო გაჩენილი. მისს მშვიდობიანსა და ნაზს სულს ბავშვობიდგანვე გარშემოხვეული ბოროტება სწიწკნიდა და სტანჯავდა... იგი ვერავინ დააფასა; არა ჰყავდა მახლობელი სული, რომელსაც შესძლებოდა გაემხნევებინა იგი, ცხოვრებასთან შეერიგებინა. მარტო იყო და სულის ობლობა საშინლად სტანჯავდა. რას არ გაიღებდა, რომ გამოსჩენოდა ვინმე და ერთი საალერსო, თანაგრძნობის სიტყვა ეთქვა. იმედი მიეცა, „თვის ტომი ეპოვა სულისა“! სწამდა შემოქმედი და უყვარდა იგი, როგორც უყვარდა სიკეთე, სიმართლე და სინათლე, მაგრამ თავისს გარშემო მარტო-ოდენ-მარტოობას ჰხედავდა და სული მისი განუსაზღვრელად იტანჯებოდა... და აი მან, ტანჯულმა და გვემულმა, ბოლოს იპოვა ერთი არსება, რომელიც ყოველ მშვენიერების განმახორციელებლად ეჩვენა. ეს არსება ის ქალწული იყო. ჩუმმა და მშვიდმა ყრმამ განაცვიფრა ქალწული და მისს სულში, რაც-კი რამ კარგი იყო, გაალვიძა და აამეტყველა. მან ვერ შენიშნა, რომ იგი არსება, ბუნებით ფაქიზი და კარგი, გაფუჭებული და დამახინჯებული იყო ცხოვრებით, რომ მისი ლაპარაკი სიმართლისა, სიკეთისა, ბოროტებასთან ბრძოლისა, მოყვასის სიყვარულისა და შებრალების შესახებ მარტო ცალიერი სიტყვები იყო. ყრმამ შეიყვარა იგი, შეიყვარა მისი ყოველივე კეთილი, ყოველივე მშვენიერება, შეიყვარა განუსაზღვრელად, როგორც-კი შეეძლო სიყვარული. ამ ძლიერმა სიყვარულმა დიდი გავლენა იქონია ქალწულის სულზედ; ყრმის თვალებში მოელვარე კეთილსა და წმინდა სულს აღტაცებაში მოჰყავდა ქალწული. მას ჯერ არავინ ჰყვარებია და აი ეხლა ისე ეჩვენა, რომ ყრმა უყვარდა. ბუნებით ყველაფრის ჩქარა მიმყოლმა მან არ შეამოწმა თვისი გრძნობა და ყრმას სიყვარულითვე უპასუხა... იყო თუ არა იგი ბედნიერი?.. იყო ორიოდე წამს, ვიდრე სჯეროდა, რომ ყრმა უყვარდა. ქალწულის გრძნობა მალე შეიცვალა და თითონაც არ იყო დარწმუნებული თავისს სიყვარულში; იგი იტანჯებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ყრმასაცა სტანჯავდა. ყრმამ ყველაფერი გაიგო. მან მისცა ქალწულს მთლად თავისი სული, თავისი პირველი დიდებული გრძნობა, რომელშიაც ჩაქსოვილი იყო მისი სიცოცხლე, მისი სარწმუნოება, მისი იმედი. და აი, იგი უძლური გამოდგა... ვერ შესძლო ქალის გულში სიყვარულის ანთება... ქალწულმა ნიშნი მოუგო უხასიათობითა და სისუსტით... ქალწულის სახემ საოცრად დაჰკარგა ფერი, ხმაც გამოეცვალა. მისი თვალები უგრძნობლად იცქირებოდნენ და თვით ყინულის ქანდაკებას დაემსგავსა, რომელმაც ვერ დააფასა, რომელსაც არ უყვარდა ყრმა. ყრმას მთელი მსოფლიო და მასში მცხოვრები ხალხი უცხოებად ეჩვენნენ. საბრალოს სასო-წარეკვეთა, განშორდა ქალს და რადგანაც თვისს სიცოცხლეს საჭიროდ აღარა სთვლიდა, თავი მოიკლა. დაჰმარხეს აქ, ამ საფლავში, ამ ხის ჯვრის ქვეშ. მეორე დღეს მოვიდა მშვიდი და ფერ-მკრთალი ქალწული. ახლოს მისვლა ვერ გაბედა, იდგა და შორიდგან უმზერდა. მისს თვალებში შიში და გაოცება გამოჰკრთოდა, ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგო, რა მოხდა. საღამო იყო, მზე კარგა ხანია განშორებოდა მიწას, სიბნელე ჰმეფობდა. სასაფლაოზედ იგივ დღესასწაულებრივი სიჩუმე ჰსუფევდა, როგორც თვით საფლავში. თავჩაღუნული ქალწული საჩქაროდ მოჰშორდა საფლავს, უკან აღარც-კი მიუხედნია. მალე განშორდა იმ ქალაქს, მაგრამ მოგონებანი და სულის ქენჯნვა თან გაჰყვნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. მისი სული მწარედ იტანჯებოდა; იგი მიხვდა, რომ უყვარდა ის ყრმა, ხოლო მაშინ, როდესაც ის აღარ იყო ამ სოფლად. ვინ იცის, იქნება ყრმამ თავისის უბედურის სიკვდილით მოიპოვა თანაგრძნობა ქალისა?! ამის შემდეგ ქალწულს ყველა ანუგეშებდა, სცდილობდნენ დაევიწყებინათ იგი, გაერთოთ და კიდეც მიაღწიეს თვისს სურვილს... თითქმის დაივიწყა... მაგრამ მოულოდნელად მას ისევ შეემთხვა ყოფნა იმ ქალაქში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილმა და როგორც გუშინდელმა წარმოდგენამ დაგვარწმუნა, მათი მაგიერობის გაწევა დასში ჯერ არავის შეუძლიან. ლიონიძის როლის აღმასრულებლად საზოგადოებას წარმოუდგა ბ-ნი ჭელიძე, რომლის გვარიც სრულებით უცნობია ჯერ თეატრის მატიანესათვის. ეს მსახიობი ახლად არის მოწვეული ბ-ნი მესხიშვილისაგან და როგორც ეტყობა, ყიფიანის ამპლუას უნდა დაადგეს. მართალია, უცნობი საზოგადოება, უცნობი მოთამაშენი, ახალი ლამპრის შუქი სულ სხვა რიგად ჰმოქმედებს ახლად გამოსულს მსახიობზედ, ცოტა უნებური აღელვება და გაუბედაობა ეტყობა, — ეს ყველასათვის ცხადია და ადვილი საპატიებელი, მაგრამ ეს კი ვერ ეპატიება მას, რომ პირველ სადებიუტო როლად ისეთ პიესის გმირს ირჩევს, რომლისათვისაც საკმაო ნიჭი, ხელოვნება და გამოცდილება არ შესწევს. ამ მსახიობს ჯერ კიდევ ბევრი და ბეჯითი მუშაობა დასჭირდება, რომ უნაკლულოდ შეასრულოს ისეთი როლები, როგორიც ლეონიძეს როლია. ხმა კარგი აქვს, მაგრამ შესაფერი მიხვრა-მოხვრა ჯერ არა აქვს რიგიან გზაზედ დაყენებული. მეტად ასუსტებს შთაბეჭდილებას ის გარემოებაც, რომ, შემოვა თუ არა სცენაზედ, ერთს ადგილს შეჩერდება, ხელებ-ჩამოშვებული უძრავადა სდგას და კითხულობს სვიმონ ლეონიძის მონოლოგებს. მეტად უხერხულად დაასრულა მეორე მოქმედება; მეტეხის ციხეში ლოცვა მაღალი კილოთი დაიწყო, სიჩქარით და ყვირილით წარმოსთქვა, რის გამოც სრულებით დაუკარგა ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ჟრუანტელსა ჰგვრის ხოლმე მაყურებელს, როცა ამ ადგილს ბ-ნი ყიფიანი ასრულებს. წამების ოთახის წინ სცენა მეტად უფერული გამოვიდა; ლევანის გამოსალმება, სვიმონის უკანასკნელი სიტყვები: „ღთქმა არ დაგვავიწყდეს, ღთქმა გახსოვდესო", სრულიად უმნიშვნელოდ გაჰქრა და გულს არ მოჰხვედრია. მაგრამ კმარა, ვნახოთ სხვა როლებშიაც და მაშინ უფრო ღირსეულად დაფასდება ამ ახალის მსახიობის ნიჭი. ჩემი მეგობრული შენიშვნა მაინც გულს ნუ გაუტეხს. დრო და შრომა თავისს შესაფერს ნაყოფს მოიტანს. ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი პირველად ვნახე შაჰის როლში და მე ჯერ ასეთი შაჰი ქართულს სცენაზედ არ მინახავს. საუცხოვო გრიმი, კისერ-ჩაწყვეტილი თავისებური სიარული, სასტიკი, შეუბრალებელი სახის გამოხატულება ქვეშევრდომთან ლაპარაკის დროს და მოსიყვარულე ლმობიერი გული მამისა საყვარელ ქალიშვილთან შეხვედრის დროს, ისეთი სინამდვილით და ძალა დაუტანებლად იყო ნაჩვენები, რომ უკეთეს ვერას მოუმატებდა სხვა მსახიობი ამ როლის ასრულებას. მაგრამ ეს-კი გაგვიკვირდა, რომ ხმა მეტად სუსტი ჰქონდა. ვისაც შარშან უნახავს მესხიშვილი, ამბობს, რომ ხმა ბევრად უკეთესი ჰქონდაო. ნუ თუ ეხლა ზაფხულის დასვენებამ აწყინა? მოხდენილად თამაშობდა ლევან ხიმშიაშვილს აგრეთვე დ. ჩარკვიანი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ ნამეტანს არ იმანჭებოდეს და ნამდვილ გმირის სულს ჩაუდგამდეს თავისს როლს. ძლიერს დრამატიულს ადგილებში ჩვეულებადა აქვს ხშირად თავში ხელების ტაცება და ეფექტებს ეძებს... უფრო კარგი იყო მეტეხის ციხეში და უკანასკნელს სურათში, ცოტა რომ ბოლოს ხმას არ ყლალატნა. თ. დადიანის როლში ახალგაზდა მოთამაშე გვაჩვენეს... ისე იგრიხებოდა წელში და მაღლა-მაღლა ხტუნავდა, თითქოს გახურებულს ლურსმებზედ იდგა და არა ფიცრის იატაკზედ. ბ-ნ ბალანჩივაძეს გოგია დიაკვნის როლში საძაგელი პარიკი ეხურა თავზედ. სახე სრულებით დაფარული ჰქონდა ჩამოწეწილი თმებით. როლის ასრულებაზედ-კი აბა რა ითქმის, ან რა არის აქ სათამაშო, რომ მსახიობმა თავი იჩინოს?.

ქ-ნი ჩხეიძე ქეთევანის როლს საკმაოდ კარგად თამაშობდა. დანარჩენებზედ სჯობს არა ითქვას-რა. მხოლოდ მოკლედ შევნიშნავ ზოგიერთ წვრილმან გარემოებას, რომელნიც თუმცა წვრილმანია, მაგრამ საზოგადო ანსამბლს ხელს უშლის და წარმოდგენის ერთიან შთაბეჭდილებას ასუსტებს. მომქმედს პირებს თავ-თავისს დროზედ არ უშვებდნენ სცენაზედ. მეხუთე სურათში სვიმონის სიკვდილის შემდეგ ისრაფილის შემოსვლა ძალიან დაგვიანდა და ამისათვის ლევანი კარგა ხანს ეჰიდებოდა ისმაილს: „გამიშვი, სვიმონი უნდა ვნახოო"—და რაღაც კინკლაობა გამოდიოდა. სამაგიეროდ ლიტანიის დროს შეთქმულები ადრე გაატარეს. ერთსა და იმავე დროს შეთქმულები ცალკე გაიძახოდნენ: „იუდა, შე სამშობლოს გამყიდველოო"—და მეორეს მხრით მიწაზედ დამხობილი შაჰი ღმერთს იხსენებდა: „შენ უფრო სასტიკი დასჯა იციო"—ამავე დროს მუსიკაც არ შეწყვეტილა და ეს ადგილი სწორედ ოპერის დუეტს ჰგავდა აკომპანიმენტით. მესამე მოქმედებაში, შაჰის დარბაზში, როდესაც ეს უკანასკნელი ქეთევანს ძალად ათქმევინებს შეთქმულების სახელსა და ჯალათს უწოდებს, ჯალათი ნახევრად გააღებდა ხოლმე კარებს და მარტო თავს გამოჰყოფდა სცენაზედ და ისევ მიიმალებოდა. ურიგო არ იქნება ამ წვრილმანებსაც მიექცეს ყურადღება. პირველი წარმოდგენის აფიშაში გამოცხადებული იყო, რომ მონაწილეობას მიიღებს მთელი დასიო. თუ მართლა დასს მეტი მოთამაშე არა ჰყავს, ვერაფერი სანუგეშო მომავალი ექნება. განსაკუთრებით ქალების უყულობა გვაფიქრებს.—19 სექტემბრიდგან „მალოროსები" იწყებენ წარმოდგენებსა და ქუთაისში 5—6 წარმოდგენისათვის დარჩებიან.

ბურნა

# უცხოეთი

**ჩინეთი**. როგორც თან და თან ირკვევა, მოძრაობა ევროპიელთ წინააღმდეგ ჩინეთში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე აქამდე ეგონათ. „დიდის მუშტის" სექტა არა ერთხელ დამარცხდა, მოკავშირეთა ჯარმა მრავალი ქალაქი აიღო და მათ შორის თვით პეკინიც, სატახტო ქალაქი მთელის ჩინეთის, იმპერატორი, იმპერატრიცა და მთავრობა პეკინიდგან გაიქცნენ,—ერთის სიტყვით, ძლევა-მოსილმა მოკავშირეებმა ყველგან, სადაც-კი ფეხი შესდგეს, უკუ აქციეს ჩინელები და თავიანთი დროშები აღმართეს, მაგრამ ყველა ამან მაინც ვერ შეაშინა ჩინელები და ქედი ვერ მოახრევინა გამარჯვებულთა წინაშე. აქამდე ეგონათ, რომ ჩინელები შეშინდნენ, დაფრთხნენ და ამის გამო წინააღმდეგობას ვეღარ გაგვიწევენო. ამას ჩინელთა მოკატუნება, ბოდიშის მოხდაც ამტკიცებდა; მაგრამ ეხლა თან და თან ნათლადა მტკიცდება, რომ ჩინელები სრულებითაც არ აპირობენ ქედის მოხრას და ევროპიელთა სურვილის ასრულებას. ხოლო პეკინის აღების შემდეგ თუ ცოტაოდნად მოლბნენ და ზავის ჩამოგდებაზედ დაიწყეს ლაპარაკი, ეს მხოლოდ სახელმწიფოთა თვალის ასახვევად, იმათ შორის უთანხმოების ჩამოსაგდებად. ევროპიელები ამ ბოლოს დროს რწმუნდებიან, რომ ჩინელები, განსაკუთრებით „დიდის მუშტის" მომხრენი, წინანდელზედ უფრო მეტად ემზადებიან უცხო-ქვეყნელთა გასადევნად და, როგორც სჩანს, ამისათვის მთელ ჩინეთს უპირებენ ფეხზედ დაყენებას. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღემდე მოძრაობა მარტო პეჩილიის პროვინციაში იყო, ერთად-ერთი ეს პროვინცია აჯანყდა უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ. ეხლა-კი, როგორც ჩინეთიდგანვე იუწყებიან, აჯანყების ნიშნები სამხრეთ და საშუალო პროვინციებსაც ეტყობათ, იმ პროვინციებს, სადაც ხალხი უფრო მდიდარია და სადაც უფრო მეტი ჯარია. „დიდის მუშტის" მომხრენი დიდის მხნეობით შესდგომიან თურმე აგიტაციას, ყველგან დადიან და ქადაგებენ უცხო-ქვეყნელთა ამოწყვეტას, ახალ მომხრეებს იძენენ და რაზმებს ადგენენ. სამხრეთ პროვინციების ვიცე-კოროლნი, რომელნიც დღემდე განზედ იდგნენ, თან და თან ემხრობიან „დიდ მუშტს". ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობაც ამ პოლიტიკას ადგია. ეს, სხვათა შორის, იქიდგანაც სჩანს, რომ მთავრობამ ახალ თანამდებობაზედ დანიშნა ის მოხელენი, რომელნიც ევროპიელთა წინააღმდეგ მოძრაობაში ყველაზედ მეტ მონაწილეობას იღებდნენ. საეჭვოდ იქცევა აგრეთვე ჩინეთის სამხედრო ფლოტიც. შანჰაიში მყოფი ფლოტი უკვე გადავიდა მეამბოხეთა მხარეს. როგორც ამბობენ, ასევე მოიქცევიან ფუ-ჯოუს და კანტონის ფლოტებიც. მოკავშირეთა ადმირალები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ამას და თვითაც ემზადებიან მომავალ ომისათვის. შანჰაიდგან პეტერბურგში ატყობინებენ, რომ სამხრეთ ჩინეთში უწესოებანი დღითი-დღე ძლიერდებაო; ჩინეთის ჯარის აფიცრები და ჯარის-კაცნი მეამბოხეთ ემხრობიან და იმათთან ერთად წუთი-სოფელს ასალმებენ ქრისტიანებსა და სხვანი. შანჰაიდგანვე იუწყებიან კიდევ, რომ ლი ხუნგ-ჩანგმა საიდუმლოდ იმპერატორის ბრძანება მიიღო, შეჰკრიბოს დიდ-ძალი ჯარი და უკანვე წაართვას მოკავშირეებს პეკინი. ყველა ამას შიშის თვალით შეჰყურებენ ისინი, ვინც კარგად იცნობს ჩინეთს და ჩინელებს და ამბობენ, რომ მოკავშირეთ ჯერ კიდევ დიდი, ძალიან დიდი მეცადინეობა ჭმართებთ საქმის მოსაწყობად შორეულ-აღმოსავლეთშიო.

— გაზეთ „Morning Post"-ს შანჰაიდგან ატყობინებენ: „გრაფ ვალდერზეეს მოსვლამ და გერმანიის წინადადებამ დამნაშავეთა დასჯის შესახებ ძალიან დააფიქრა ჩინელები. მთავრობა ეხლაც, როგორც აქამდე იყო, პრინც ტუანისა და კანგ-ის ხელშია. ტუანი ყოველ დღე ევროპიელთა დამამარცხებელ ბრძანებებსა ჰგზავნის იმპერატორის სახელით და ამავე დროს პროვინციებში ახალ მოხელეებსა ჰნიშნავს, ისეთებს, რომელნიც ევროპიელთა წინააღმდეგნი არიან. გენერლები თითქმის ყველანი ტუანის მომხრენი არიან, აგრეთვე ვიცე-კოროლები, ნანკინის ვიცე-კოროლის გარდა, რომელთაც უთუოდ მალე გადააყენებენ".

**სამხრეთ-აფრიკის ომი**. დეპეშები აღარაფერს იუწყებიან ბურების შესახებ. არ იცის კაცმა, ომი კიდევ არის თუ არა. ევროპაში ეჭვი არა აქვთ, რომ ბურები კიდევ იბრძვიან. გაზეთები სწერენ, რომ ვიდრე დევეტი ცოცხალია, ბურები იარაღს არ დაჰყრიან და ბრძოლას თავს არ მიანებებენო. თვით ინგლისის მთავრობა, უთუოდ არჩევნების გამო, ამბობს, რომ ომი გათავდაო, თუმცა ამავე დროს ახალ-ახალ ჯარსა ჰგზავნის სამხრეთ-აფრიკაში. როგორც ერთ რუსულ გაზეთს ლონდონელი კორესპონდენტი ატყობინებს, ამას წინად ლონდონიდგან დურბანში გემი წასულა

---

საიდგანაც შიშით გაიქცა... მოგონებანი ისევ აღეძრნენ და აი, უძლეველმა ძალამ გაიტაცა ის ტყეში, სადაც ოდესღაც ისინი ერთად დასეირნობდნენ და იებსა ჰკრეფდნენ... დანარჩენი ხომ თქვენც იცით... თქვენ, ლამაზო ყვავილებო, საოცარის სუნით განაღვიძეთ მისი სული და მოგონებანი. იგი ისევ განიწმინდა და განახლდა სულით... და აი, მე გამომგზავნა ღმერთმა, რომ შევკრიბო ის ცვარები, რომელთაც ცრემლებს ეძახიან,—ეს პირველი ცრემლ'ია მისის სინანულისა. წავიღებ ამათ შემოქმედთან და ვთხოვ, რომ მას ყველაფერი მიუტეოს, რადგანაც იგი ღირსია ამისი".

ანგელოზმა გაათავა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ყვავილები აღტაცებ თ ისმენდნენ მისს ლაპარაკს, რომელიც მათ ზეციურ მუსიკად ეჩვენათ; სცდილობდნენ გაეგოთ ყოველი სიტყვა, რომელიც მათ უხსნიდა და უხატავდა უცნობს მიოფლიოს... აი, ამ სიჩუმეში გაისმა სუსტი, ნაზი ხმა... მისი შედარება შეიძლებოდა ღამის ნელ ნიავთან, რომელიც მძინარე ფოთლებს ტკბილად ეალერსება. ხმა იგი მთრთოლვარე, მიხრწნილი იყო, მაგრამ მაინც მიაღწია ღვთაებრივ სტუმრამდე და ანგელოზმა გაიგონა. ჩვენი ნაცნობი ია ჰლაპარაკობდა.

— ანგელოზო, ნათელო ანგელოზო! მოდი ჩქარა, შეჰკრიფე ის მისი ცრემლებიც, რომლებიც მან ტყეში დაჰღვარა. მე, მარტო მე დავინახე იგინი, იგინიც ისევე ლამაზნი და ბრწყინვალენი არიან, როგორც ეს ცვარი, რომელიც მან მიწყალობა!..

ანგელოზმა მშვიდობიანის ღიმილით შეხედა ის.

— დამშვიდდი, უთხრა მან: „ღმერთს არც ერთი ცრემლი არ დაეკარგება, მაგრამ ისინი იყვნენ ცრემლები დაკარგული ბედნიერებისა, ისინი ისე ძვირფასნი არ არიან ღვთისთვის. უძვირფასესი ცრემლია —პირველი ცრემლი სინანულისა, იგი-კი, ვხედავ, რომ შენს გულში ელვარებს. შენ პირველი იქმენ მოწყვეტილ, პირველმა დაინახე ეგ ცრემლი და საუკეთესო ჯილდოც შენია.

ამ სიტყვების შემდეგ ანგელოზმა თასში დაიწყო ცვარების შეგროვება და სწრაფად შეაგროვა. მარტო ერთი ცრემლი სინანულისა-ღა ელვარებდა საბრალოს ნახევრად დამჭკნარ მკერდზედ. როდესაც ანგელოზმა გაიწოდა მისკენ ხელი, იამ ვედრებით მიმართა:

— ოჰ, ბრწყინვალეო ანგელოზო! ნუ გამომწირავ ამ ჩემს ცვარს! უმჯობესი იქმნება წაგვიყვანო ჩვენ ერთად ცაში იმ საბრალო ყრმასთან, რომ მისის სიყვარულის შედეგი დაწვრილებით ვუამბო. გადავცემ მას ქალწულის ცრემლს და ვეტყვი, რომ მისმა სიკვდილმა უნაყოფოდ არ ჩაიარა, მან დაიხსნა ბუნებით წმინდა და კეთილი არსება, როგორც შენა სთქვი... ვუამბობ, რა საოცრად ბრწყინავდნენ ეს ცვარცრემლები მისს ლოყებზედ და ნათელ დაღვრემილ თვალებში... იგი აპატიებს და შეიყვარებს, შეიყვარებს ისე, როგორც წინად! ოჰ, ბრწყინვალეო ანგელოზო, მომეც, მომეცი ამის ნება! ეს იყოს ჩემდა ჯილდოდ, რომელსაც შენ შემპირდი!

აქ იას ხმა შესწყდა. ღონე ელეოდა... სიკვდილი უახლოვდებოდა... აგერ იგი შავი, საშინელი, მოელვარე ცელით! აქვე ახლოს, ახლოს სდგას... მისი ფრთები უკვე საზერველივით უზერავენ იას თავზედ. იას უკანასკნელი ღონე შეუკრეფია და შიშისაგან აკანკალებული რაც შეუძლიან ეკვრის ცვარს. ცოტაცა და სიკვდილი განაშორებს მასთან... ბრწყინვალეო, ბრწყინვალე ანგელოზო, დაიხსენ იგი!.. აქ იამ უეცრად იგრძნო, რომ რაღაც ძალამ მაღლა ასწია. მეტის-მეტ სინათლის გამო თვალთაგან ვეღარას ჰხედავდა, ხოლო სიკვდილის მომას წავებელი მოჩვენება-კი სადღაც გაჰქრა... ია ხელში ეჭირა ანგელოზს და მშვიდის ღიმილით დასჩერებოდა. იამ იგრძნო, რომ ძალა და სიცოცხლე ისევე უბრუნდებოდა და მიხვდა, რომ ანგელოზმა აუსრულა მას მუდარა. მან მადლობითა და აღტაცებით აიხედა მაღლა და ანგელოზთან ერთად შესცურა უსაზღვრო ნათელში...

—

დედა-მიწაზედ-კი ამ დროს ისევ სიბნელე ჰმეფობდა, ისევე თეთრად გამოიყურებოდნენ საფლავის ძეგლები, ისევ ქვითინებდა, ხმას არაკრაკებდა ბულბული და საღამოს ნიავისაგან თრთოდნენ ხის ფურცელნი; უბრალო ხის ჯვრით შემკობილ ღარიბ საფლავზედაც ისევ დაჭკნარნი ყვავილნი ეყარნენ...

ყვავილები შესცქეროდნენ სულ მაღლა-მაღლა მიმფრინავს ანგელოზსა და იას და, როდესაც იგინი მიიმალნენ ცის სივრცეში, უკვე გამოესალმნენ ამ სოფელს... როდესაც მოჩვენება თან და თან შორდებოდა ყვავილთა მხედველობას, ერთი ნათელი ვარსკვლავი-ღა ამხელდა ყვავილთ, სადაც იყვნენ ანგელოზი და ია. ეს ვარსკვლავი ყველაზედ ნათელი იყო. ვარსკვლავი იგი ჩვენის ნაცნობის იის ციური ცვარი იყო.

ვანო გიუნაშვილი

ერთის რაზმით. მეორე რაზმი წარსულ კვირას გაუგზავნიათ. კორესპონდენტის სიტყვით, ამ ჯარს ბურების წინააღმდეგ არა ჰგზავნიან. ამბობენ, ინგლისსა და პორტუგალიას შორის კრიუგერის გამო რაღაც უკმაყოფილება ჩამოვარდა და ახალი ჯარი ამისათვის უნდათ.

## სასამართლოს მატიანე

### ი. ე. ზუბალაშვილის საქმე.

წასულს კვირას ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების ივ. ეგ. ზუბალაშვილისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ცილის წამება და წერილით შეურაცხება. ამ საქმის გარემოება შემდეგია: ამ ორის თვის წინად ემმა ზუბალაშვილის ვექილს გარბოვსკის მიუცია შემდეგი შინაარსის საჩივარი ტფილისის 2 განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლისათვის: განსვენებულ ნიკ. ეგ. ზუბალაშვილმა ანდერძით დაუტოვა თავის ძმას ივ. იაგორის ძეს უძრავ-მოძრავი ქონება სულ 300,000 მანეთისა იმ პირობით, რომ მას ყოველ წლობით შესანახად ეძლია თვისის დების ნინო კანაპლიანსკისა, კნ. ჩოლოყაშვილისა და შიშკევიჩისათვის ოთხას-ოთხასი მანეთი, ვიდრე ისინი ცოცხალი არიან და ა. ზუბალაშვილისათვის 3000 მან. რადგანაც ი. ეგ. ზუბალაშვილმა ნინო კანაპლიანსკისას ფული არ მისცა, ამის გამო მათ შორის აღიძრა მიწერ-მოწერა. შემდეგ ერთი ამ წერილთაგანი კანაპლიანსკისას წარუდგენია სამოსამართლო პალატაში სამოქალაქო საჩივრის აღძვრის დროს. ამ წერილში ივ. ეგ. ზუბალაშვილი, ერთს ადგილზედ შეხებია რა თავის ძმას, განსვენებულ ნიკოლოზ იაგორის ძეს, სხვათა შორის, სწერს, რომ „ნ. ე. ზუბალაშვილმა, როგორც ფულით გაუმაძღარმა, ძუნწმა და სულით გლახაკმა“ ხელში ჩაიგდო ჩემის ძმის იოსების გარდაცვალების შემდეგ ფული და გამდიდრდაო. შემდეგ ახასიათებს რა იმავე წერილში ი. იაგ. ნ. ეგ. ზ—შვილს ამბობს, რომ „განსვენებული იყო დიდი, დიდი... ხრიკების მოყვარე; ფულის გულისათვის ყოველსავე სისაძაგლეს იკისრებდა, რის დამტკიცებაც შემიძლიანო“. შემდეგ წერილში ემმა ზუბალაშვილის შესახებ სწერს, რომ იგი ისეთს ბეჭყიანს საქმეებსა და საჩივრებში ებმება, რომ სათქმელადაც სირცხვილიაო და სხვა. აი, ამ წერილით გულმოსულმა ე. გ. ზუბალაშვილისამ იჩივლა და ამტყუნებდა ივ. იაგ. ზუბალაშვილს, რომ თავისს ძმას, ჩემს განსვენებულს ქმარს ცილი დასწამა, ხოლო მე შეურაცხება მომაყენა და ცილიც დამწამაო. მომრიგებელ მოსამართლემ, დამნაშავედ იცნო ივ. ეგ. ზუბალაშვილი და დაუსწრებლად გარდაუწყვიტა 1 თვით დაპატიმრება ძმის ცილის წამებისათვის, ხოლო ემმა ზუბალაშვილის შესახებ გაამართლა. ი. იაგ. ზუბალაშვილმა საჩივარი გადაიტანა ტფილისის ოლქის სასამართლოში, რომელმაც უდანაშაულოდ იცნო ი. იაგ. ზუბალაშვილი და გააუქმა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი. ბრალდებულს იცავდა პ. ა. ოპოჩინინი *).

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კოლორადოს შტატში (ამერიკაშია) უნახავთ ღრმად მიწაში ძვლები ერთის ძველის ცხოველისა დინოზავრისა (ხვლიკის ჯიშის ცხოველი). უპოვნიათ ფეხის ძვლები და ხერხემალი. როგორც ამ ძვლებიდგანა სჩანს, ცხოველი უზარ-მაზარი რამ უნდა ყოფილიყო. ჰფიქრობენ, რომ სიგრძე ამ ცხოველს $10^1/_2$ საჟენი უნდა ჰქონოდა, ხოლო სიმაღლე 3 საჟენი.

* * *

ერთ მოსამართლეს პენსილვანიაში (ამერიკაშია) ახალი საშუალება აღმოუჩენია წაჩხუბებულ ქალების დასჯისა და იმათის შერიგებისა. ამას წინად მოსამართლესთან ორი მეზობელი ქალი მისულა. ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთს უჩიოდნენ. მოსამართლესთან ჯერ წყნარად დაუწყვიათ ლაპარაკი. მაგრამ მალე ეს ლაპარაკი ყვირილად გადაქცეულა, ბოლოს ერთმანეთსაც წასწვდომიან თმებში. მოსამართლეს ვერაფრით ვერ დაუწყნარებია გულ-მოსული მანდილოსანნი. სასოწარკვეთილ მოსამართლეს რომ ვეღარაფერი გაუწყვია, პოლიციელისათვის დაუძახნია და უბრძანებია ქალების პატარა ოთახში ჩამწყვდევა. მოსამართლეს გარედგან კარები ჩაუკეტნია და თავისთვის უთქვამს, ეხლა რაც გინდათ ისა ჰქენითო. პირველ საათს ოთახიდგან საოცარი წივილ-კივილი და ბრახი-ბრუხი მოისმოდა თურმე. მაგრამ გავიდა ნახევარი საათი კიდევ და სიჩუმე ჩამოვარდა. მესამე საათის დასაწყისში ორივენი ფანჯარასთან იდგნენ მოქანცულ მოღლილნი და წყნარად სტიროდნენ; ხოლო მეოთხე საათის დასასრულ „მოსისხლე მტრები“ ერთმანეთს ეხვეოდნენ და სიკვდილამდე სიყვარულს ეფიცებოდნენ. გახარებულ მოსამართლეს მაშინვე კარები გაუღია და გაუნთავისუფლებია დამწყვდეულნი, რომელნიც ხელი-ხელს გადახვეულნი სახლისკენ გასდგომიან გზას.

* * *

ლონდონში სცხოვრობს ერთი აბბატი, გვარად მური. ეს აბბატი წინასწარმეტყველებას ჩემულობს და წინდაწინვე აცხადებს ხოლმე, რა მოხდება მთელის წლის განმავლობაში. აბბატი ალმანახს გამოსცემს ხოლმე, სადაც თავის წინასწარმეტყველებასა ჰბეჭდავს. შარშან წლევანდელ წელზედ ეწერა ამ ალმანახში: დიდი არეულებანი და ომები მოხდება. მოჰკლავენ ერთ ხელმწიფეს. ინდოეთში შიმშილობა იქმნება. როგორც ვუწყით, ეს წინასწარმეტყველებანი აღსრულდა: არეულობანი ჩინეთში მოხდა, ომი ტრანსვაალში, მოჰკლეს მეფე ჰუმბერტო და ინდოეთშიაც წელს საოცარი შიმშილობაა.

მურმა უკვე გამოსცა ახალი ალმანახი, რომელშიაც ჩამოთვლილია ის, თუ რა მოხდება 1901 წელს, აი რა სწერია იქ:

იანვარი, 1901 წ. საოცარი საპოლიტიკო აგიტაცია საფრანგეთში; რესპუბლიკა დიდ განსაცდელში ჩავარდება.

თებერვალი და მარტი. შესანიშნავი ამბები მოხდება შორეულ აღმოსავლეთში. ინდოეთში აჯანყება მოხდება.

მაისი. ირლანდია ინდოეთის მაგალითს მიჰბაძავს.

ივნისი. ესპანიაში მეფესა და იმის მტრებს შორის შეტაკება მოხდება.

ივლისი. მთელ დედამიწაზედ დიდი უბედურებანი მოხდება. ამ თვეში არავინ არ უნდა იმგზავროს, ყველანი სახლში უნდა იყვნენ.

სექტემბერი. შიმშილობა ინდოეთში.

ოქტომბერი. აჯანყება დერვიშებისა.

ნოემბერი. ჰოლანდია „საშიშ პოლიტიკურ გზას დაადგება“, ასე რომ შეტაკების თავიდგან აცილებას დასჭირდება მთელის ევროპის დიპლომატიის საოცარი მეცადინეობა.

დეკემბერი. არეულობანი და უწესოებანი მოხდება დასავლეთ ევროპის ზოგ სახელმწიფოებში.

ასე წინასწარმეტყველებს აბბატი მური. ასრულდებიან თუ არა ეს წინასწამეტყველებანი, მერმისი დაგვანახვებს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 20 სექტემბერი

**ლონდონი.** დურბანიდგან იუწყებიან, რომ ლეიჩერსდრიფტიდგან ექვსი მილის მანძილზედ, აღმოსავლეთით, 18 სექტემბერს ბურებს წაურთმევიათ ინგლისელებისათვის საომარი სურსათი, რომელსაც ნატალელი თავისუფალი მეომარნი თურმე მისდევდნენ. ერთი აფიცერი და 4 ჯარის-კაცი დაჭრილია და ორი შავკანა მოკლული; თან მიმყოლ თავისუფალ მეომართაგან რამდენიმე ტყვედ წაიყვანეს.

**ლორენცო-მარკეზი.** კომატიპორტიდგან მიმავალი ჰოლლანდიის სამხრეთ-აფრიკის გზა ამიერიდგან საიმპერიო სამხედრო გზად იწოდება.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით: „სადგურ პომთან ბურებმა სამხედრო მატარებელი გადააბრუნეს; ხუთი კაცია მოკლული; ერთი აფიცერი და ოც-და-ათი ჯარის კაცი დაჭრილია“.

**პეტერბურგი.** სახორბლო ტარიფის მესამე სხდომაზედ კენჭის ყრა მოხდა საშინაო და საგარეო ტარიფის შესახებ და ხმები სრულიად გაიყო. დიდი აზრთა შეტაკება გამოიწვია იმ საკითხმა: საჭიროა თუ არა ფქვილზედ ისეთივე ტარიფი იქნეს დატოვებული, როგორიც ხორბალზეა, თუ არა? შემდეგს სხდომასაც ამ საკითხის გარდაწყვეტას მოანდომებენ.

**პეტერბურგი.** გენერალმა ფლეიშერმა ექვსის ბატალიონით, ათი ზარბაზნითა და ორის ასეულ ყაზახით 11 სექტემბერს ცხარე ბრძოლის შემდეგ 6,000 კაცისაგან შემდგარი ჩინეთის გენერლის შუს ჯარი გამაგრებულ სოფლებიდგან განსდევნა თავისს არტილერიით, დაიჭირა ძველი ნიუჩუანი და მეამბოხენი ჩრდილოეთისაკენ გარეკა. ჩვენ ერთი ჯარის-კაცი მოგვიკლეს; ორი ოფიცერი სუმბუქად არის დაჭრილი; ჯარის-კაცი 18 დაჭრილია. ჩინელებს ძალიან დიდი ზარალი მიეცათ; ბრძოლის დროს მტერს წაართვეს ერთი სამთო ზარბაზანი კრუპისა და ერთიც ბაირაღი.

### 21 სექტემბერი

**ბაქო.** კიდევ გაჩნდა ცეცხლი ბიბი-ეიბათში. დაზარალდნენ „ტფილისის ამხანაგობა“, „ოლეუმი“, ვიშაუ, „ბიბი-ეიბათის ამხანაგობა“ და ნავთის საწყობი, რომელშიაც 40,000 ფუთი იყო. ზარალი 200,000 მანეთისაა.

**ვაშინგტონი.** სხვა-და-სხვა სახელმწიფოს გარეშე საქმეთა სამინისტროთაგან საკეთილო ცნობები მოვიდა. ეს ცნობები საიმედო ჰყოფენ, რომ სახელმწიფონი ჩინეთის საქმის გამო შეთანხმებიან იმ საფუძველთა მიხედვით, რომლებიც გეის 20 სექტემბრის ნოტაშია აღნიშნული.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის აღმოსავლეთ-აზიის ესკადრის უფროსი იუწყება, რომ 16 სექტემბერს, ვალდერზეეს წინადადებით, ადმირალებმა თათბირზედ გადასწყვიტეს აიღონ შანჰაი-გუანი და ჯენვანტაო. ამისათვის ყველა საჭირო თადარიგი იქმნა მიღებული. ჯერ გაგზავნილ იქმნა ინგლისის სამხედრო გემი, რათა გამოეცხადებინა ჩინელთათვის, დამორჩილებულიყვნენ; ჩინელებმა პირობის დაუქერლად გასწმინდეს სიმაგრენი და ქალაქი; შანჰაი-გუანზედ ინგლისის დროშა იქმნა აღმართული; ადმირალთა გემები შანჰაი-გუანში მიდიან ქალაქის სიმაგრეებზედ თავიანთის დროშების აღსამართავად.

## ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო „ველურობა და განათლება ანუ ადამიანთა ცხოვრება-განვითარება“, შ. ლეტურნოს „სოციოლოგიიდგან“ გადმოკეთებული სევ. ჯულელის მიერ. წიგნი ძმ. იმედაშვილების გამოცემულია და ღირს 30 კაპ. წიგნს რამდენიმე სურათიცა აქვს დართული.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ქალბატონს ოლგა ნიკოლოზის ასულს ღამბაშიძისას, რომელმაც ბაღდათის სახალხო უფასო სამკითხველო წიგნთ-საცავს ღირებული 10 მ. და 50 კ. ქართული წიგნები შემოსწირა.

ბაღდათის ორ-კლასიან სკოლის მასწავლებელი ელეფთერ ებანოიძე

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

შირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

23 სექტემბერს

დუტუ კირშბაიასი, რომელსაც ცხენის ქურდობა ბრალდება.

ნიკოლოზ კოჩიშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

25 სექტემბერს

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ზაქარია ჭელიძისა, მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ეგნატე ტოტაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ალექსანდრე მარიამიძისა, რომელსაც კანატოვის ქალის გაუპატიურება ედება ბრალად.

30 სექტემბერს

ხოსია ლომთაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

დავით კალაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

კონსტანტინე დოლიძის, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ონისიმე ლოლუასი, რომელსაც ბოქაულის ბოროვის წინააღმდეგობა ედება ბრალად.

მიხეილ სიჭინავასი—ყაჩაღობა ბრალდება.

მარკოზ ლაღაძისა, რომელსაც თვისის შვილის კიმოთეს მოკვლა ბრალდება.

ფედოსია გიგოს ასულის ქორქაშვილისა, რომელსაც თვისი ქმრის ფარნაოზის მოკვლა ბრალდება.

## განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ 6 ოქტომბერს, ნაშუადღევის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა მტკვარზედ, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა, გამართული ბორანი.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9 დგან 3 საათამდე.

(3—6.—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ცვიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. Ю. (48—6.—23)

**ქუთაისში**

სავაჭრო სახლი

**„ი. გოკიელოვის შვილები“**

რადგანაც წელს **მოწაფეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შემზადება ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა,** რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექნება უკლებლივ ყოველნაირი რვეულები.

(10—164—8)

**სამკერვალო**

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(10—178—4


---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე

*) ამ სასამართლოს მატიანეს დაბეჭდვა ჩვენდა უნებლიედ დაგვიგვიანდა. რედ.